საქართველოს პრეზიდენტი

მისი აღმატებულება

კატერინა საკელაროპულუ

საბერძნეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი

თბილისი, 2021 წლის 25 მარტი

თქვენო აღმატებულებავ,

ქართველი ხალხისა და პირადად ჩემი სახელით, მაქვს პატივი მოგილოცოთ საბერძნეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის 200 წლის იუბილე.

ქართველ და ბერძენ ერებს შორის კავშირი იმდენად ძველი და წარმოუდგენლად ღრმაა, რომ მისი სათავე მითოლოგიაში იკარგება. იშვიათია დედამიწაზე ქვეყნები, რომელთა შორის სულიერი კავშირი ისეთი ძლიერია, როგორიც საქართველოსა და საბერძნეთს შორის: ჩვენი ერები ერთად იდგნენ მსოფლიო ცივილიზაციის სათავეებთან, ერთდროულად გაქრისტიანდნენ. ჩვენ გვაკავშირებს უზარმაზარი მემკვიდრეობა - საერთო ელინისტური და ქრისტიანული სამყარო - საქართველოში ბერძნული პოლისებისა და საბერძნეთში ქართული მონასტრების სახით.

დღეს, ამ ტურბულენტურ მსოფლიოში, ისე როგორც არასდროს, კაცობრიობისათვის მნიშვნელოვანია იმ ფასეულობების ერთგულება, რომლებიც ჩვენს საერთო წარსულში იღებს სათავეს და დღეს უკვე ზოგადსაკაცობრიო კულტურულ ფასეულობებად იწოდება.

ჩვენს ქვეყნებს შორის მეგობრობა დღესაც უწყვეტად გრძელდება. ამ ისტორიულ დღეს, ვსარგებლობ შემთხვევით და კვლავ გამოვხატავ მადლიერებას საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ურყევი მხარდაჭერისათვის. ჩვენთვის განსაკუთრებულად ფასეულია საბერძნეთის თანადგომა საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციისკენ მიმავალ გზაზე.

საქართველო წარმატებით აგრძელებს სვლას დიდი ევროპული ოჯახის წევრობისაკენ და ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ევროკავშირში მას საბერძნეთის სახით ჰყავს ძველი ნათესავი, რომელიც ისტორიულ ევროპულ ოჯახში საქართველოს დაბრუნებას საკადრისად დახვდება.

იმედი მაქვს, რომ მომავალში კიდევ უფრო გავაღრმავებთ და გავაძლიერებთ ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობას, რომელიც მეგობრობას, სოლიდარობასა და ურთიერთპატივისცემას ეფუძნება. მჯერა, რომ საქართველო და საბერძნეთი ერთად შეიტანენ წვლილს ევროპულ ოჯახში მშვიდობისა და სტაბილურობის განსამტკიცებლად.

ქალბატონო პრეზიდენტო, გიდასტურებთ ჩემს უღრმეს პატივისცემას, ხოლო მეგობარ ბერძენ ხალხს ვუსურვებ მშვიდობას, ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას.

სალომე ზურაბიშვილი